ეროვნული ბიბლიოთეკა

№ 6 ყოველდღიური გაზეთი

# ჩვენი ცხოვრება

წელიწადი 1. შაბათი 7 ივლისი, 1912

გაზ. „ჩვენი ცხოვრება“ ღირს როგორც ქუთაისში, ისე ქუთაისს გარეთ, ერთი წლით—7 მ., ნახევ. წლით—4 მ., სამი თვით ქუთაისში—2 მ. და 50 კ., თვიურათ ქუთაისში—80 კ., ქუთაისს გარეთ—90 კ. ცალკე ნუმრის ფასი ყველგან ერთი შაური. საზღვარგარეთ ორჯერ მეტი იმდენი, რამდენიც ქუთაისში ღირს.

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით—15 კ., უკანასკნელზე—10 კ. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ 3 მ., 3 საათს შემდეგ 4 მან. გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველ რიცხვიდან.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები არ ინახება. ამათ შესახებ რედაქცია არავითარ მიწერ მოწერას არ კისრულობს ერთი თვით ინახება მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. წერილობით პასუხისთვის საჭიროა სათოსტო მარკები. ადრესის გამოცვლა პროვინციაში 40 კ.

რედაქციის ადრესი: ქუთაისი, ალექსანდრეს ქუჩა, თევდორაძის სახლში.

? ? ?

ამ წლის პირველი ივლისიდან ქ. ქუთაისში გამოდის ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო ქართული გაზეთი

„ჩვენი ცხოვრება“

გაზეთი წლიურათ ღირს 7 მან., ნახევარის წლით—4 მ., სამი თვით—2 მ. დ 50 კ. თვიურათ ქუთაისში—80 კაპ., ქუთაისს გარეთ 90 კაპ. ცალკე ნუმრის ფასი ყველგან ერთი შაური. საზღვარგარეთ 14 მან. განცხადება პირველ გვერდზე პეტიტის სტრიქონი ღირს 15 კ., უკანასკნელზე—10 კ. სამგლოვიარო განცხადების ერთხელ დაბეჭდვა—3 მან. რედაქტორ-გამომცემელი ა. სულაქველიძე.

ფულის გამოსაგზანი ადრესი: **Кутаисъ, Юстину Гавріил. Баланчивадзе.**

ფულის მიღება შეიძლება მხოლოდ ბალანჩივაძის სახელზე. რედაქციის ადრესი: ქუთაისი, ალექსანდრეს ქუჩა, თედორაძის სახლი, № 6.

ქაღალდის პაკეტების ფაბრიკა და სწრაფლ-მბეჭდავი

**გ. ლ. კვერღელიძისა და დ. ვ. რამიშვილისა**

ბათუმში, პეტერბურგის ქუჩა, № 48 რკ. გზ. სადგურ. სიახლოვეს

მიიღება დაკვეთა ყოველნაირი ხარისხისა და ზომის პაკეტებზე: აფთიაქებისათვის კანდიტერებისათვის, საბაკალეინო მაღაზიებისათვის, ხილეულობისთვის და სხ. დაკვეთილი პაკეტები მზადდება ჩქარა და დროზედ კეთილ-სინიდისიერად ნიმუშები პირველ მოთხოვნილებისამებრ.

ფასები ყოველ კონკურენციის გარეშე.

დეპეშის ადრესი: Фабрика Квергелидзе и Рамишвили.

მ—5—1

შუშხუნა „ჩვენი გემო“ კვასი.

დღე არ გაივლის ისე, რომ ჩემმა ნაცნობ-მეგობრებმა საყვედური არ მითხრან: კვასმა „გემომ“ თავისი უწინდელი ღირსება დაკარგა და ეს არ უნდა მოგსვლოდაო. საყოველთაოდ ვაცხადებ, რომ ჩვენ არავითარი საერთო არა გვაქვს „გემოსთან“. ჩვენ, როგორც მისმა დამაარსებელმა და მოხელემ, გავაუქმეთ ის და მის მაგიერ დავაარსეთ **„ჩვენი გემო“** და თუ „გემოს“ სახელით უშვებს ვინმე კვასს, ეს მხოლოდ სიყალბეა. და ამისთვის მაქვს პატივი ვაუწყო პატივცემულ საზოგადოებას, რომ ვისაც აინტერესებს კარგი ღირსების ნადული წყლიდან დამზადებული პურის კვასი, მოითხოვონ ყველგან **„ჩვენი გემო“** და არ აურიონ ის მის მზგავს ფირმებში.

პატივისცემით **მათე გორგილაძე და ამხანაგობა.**

მისამართი: სუდების ქუჩა, სახლი № 6. 20—5—1

მიიღება ხელის მოწერა 1912 წლისათვის

გაზეთი

წელიწადი მეორე „თემი“ წელიწადი მეორე

ფასი გაზეთისა: წლიურად—2 მ. 50 კაპ. ნახევარი წლით—1 მ. 25 კაპ. ერთი თვით—25 კაპ. რედაქციის და კანტორის ადრესი: Дворцовая 6, редакція газеты „Т Е М И“. რედაქტორ-გამომცემელი გრ. დიასამიძე

ხონში

მიიღება ხელის მოწერა სარედაქციო ფასებში გაზეთ „ჩვენი ცხოვრება-ზე“

**ს. ჩირგაძის ტყავეულობის მაღაზიაში, სამკითხველოს გვერდით.**

გვყავს გაზეთის საკუთარი დამტარებელი. მსურველთ შეუძლიათ მიიღონ გაზეთი თავიანთ ბინაზე.

**Курсистка** Моск. Высш. Жен. Курс. репетируетъ по всѣмъ предметам, (долголѣтняя практика) спеціальность русск. яз. и литература. Ивановская ул., близъ нагорнаго участка, д. Оганезовыхъ. Спросить Астафьеву.

თფილისი, ნაძალადევი.

ექიმი კბილისა

ა. (გ) ბ. დოლიძე გადავიდა **ნაძალადევში** რკ. გზ. ხიდის ახლოს ჩერქეზოვის ქუჩაზე № 145, ბ. დვალიძის სახლში. **სწავლობს კბილისა, ღრძილის და პირის ავათმყოფობას,** აგრეთვე აკეთებს პლომბებს, სწმენდს და აცილებს კბილის ქვას, იღებს უვარგისს კბილებსა და ფესვებს და უდგამს ხელოვნურ კბილებს. დილის 8—2 ს-მდი და საღ. 5—7 საათ. მ—3—1

ექიმი **ირ. ცეხანოვსკი** ლებულობს შინაგან, საშარდე, სიფილისო, ვენერიულ სენით და სიფილისით ავათმყოფებს დილის 10—12 საათ. საღამოს 5—7 საათამდე. ადრესი: კარავან სარაისა და მიხაილოვის ქუჩების კუთხე, სასტუმრო „ლონდონი“.

ექიმი **მ. მგალობლიშვილი** იღებს ბავშთა, შინაგან და საბებიო სნეულ ავადმყოფთ, დილის 10—1 საათ. საღ. 5—7. გაგარინის ქ. № 5, პოლიცმეისტრის კანცელარიის გვერდზე. 5—თ.

განცხადებანი

თბილისის ხელისმოწერთა საყურადღებოთ.

თბილისში გაზ. „ჩვენ ცხოვრებაზე“ ხელის მოწერა შეიძლება შემდეგ ადგილებში: 1) პირველ საპოლიციო უბანში ვერაზე, ბელინის ქუჩა № 13, კვასი „გემოს“ ქარხანა; მოსე ფირცხალაშვილთან. 2) ერევნის მოედანთან, სომხის ბაზრისა და პუშკინის ქ. კუთხე № 1; ვასილ ხუცავას მაღაზიაში. 3) ავლაბარში: მე 7-დე საპოლ. უბ., კახეთის ქ. № 7, ავტომობილის იადგური (თბილ.-სიგნახ.) ავთანდილ გულევთან. 4) ნაძალადევში (ნახალოვკა) მომხმარებელი საზოგადოება „მომავალის“ მაღაზიაში.

## ადგილობრივი პრესა.

ყოველი ახალი გაზეთის გამოსვლა ქართულ ენაზე დიდათ სასიხარულო მოვლენაა. მით უმეტეს სასიხარულოა, როცა გაზეთს განსაკუთრებით მდაბიო მკითხველისთვის სულიერი საზრდოს მიწოდება აქვს მიზნათ დასახული. ასეთია ქ. გორში დაარსებული გაზეთი „ქართლი“. რედაქცია, როგორც სჩანს, დიდი ენერგიით ეკიდება თავის საქმეს, რაც მოსაწონია.

განცხადებაში გაზეთი გვარწმუნებს, რომ იგი უპარტიო გამოცემაა და ჩვენც გვეგონა, რომ იგი მართლა უპარტიობას დაადგებოდა, ყოველ შემთხვევაში მეტ რიგიანობას გამოიჩენდა სხვადასხვა არსებულ მიმართულებათა დახასიათების დროს. ყველაზე მეტი „ქართლის“ რედაქციას ჩვენი დეპუტატები ამოუჩემებია და მათ შესახებ უპარტიობის ნიღაბ ქვეშ მრავალს, ყოველ სიმართლეს მოკლებულ ცნობებს აწვდის მკითხველებს.

„**ბედმა** (ხაზი ჩვენია) ჩვენი წარმომადგენლობა, ერთი წარმომადგენლის გამონაკლისით, სამივე სახ. სათათბიროში, სოციალდემოკრატებს აკუთვნა (ქარ. № 5 მეთაური).

7 წლის განმავლობაში სამჯერ ზედიზედ ჩვენმა ხალხმა ამ მიმართულებას მისცა უპირატესობა; მისმა უტყუარმა ალღომ და სისწორით გაგებულმა ინტერესებმა, ასეთი არჩევანი უკარნახა; „ქართლის“ რედაქციამ კი, რომელსაც სწორი ცნობების მიწოდება სურს ხალხისთვის, ყოველივე ეს **ბედს** გადააბრალა. დიახ, ბედი თორემ აბა უკიდურეს მემარცხენეებს ჩვენი ხალხი როგორ მისცემდა ხმას. საზოგადოებრივ მოვლენის ახსნაც ასეთი უნდა.

მარა ამას კიდევ თქვენი ჭირი წაუღია. ქვევით უფრო უარესსაც შევხვდებით: ჩვენი დეპუტატები ბოგანოთა ინტერესების გამომხატველი არიან. ჩვენში ბოგანოები არ არიან, გლეხების ინტერესებს ისინი არ იცავენ, პირიქით ბოგანოთა ინტერესებს შესწირეს იგიო და სხვ.

და ბოლოს გაზეთი გოდებს:

ჩვენ ხმას ვაძლევდით მათ, იმედი გვქონდა მოგვიგონებდენ ჩვენ ჩვენის ჭირ-ვარამით. ამის პირობას გვაძლევდენ მაშინ, როდესაც ჩვენის კენჭებით გზას იკვლევდენ. მაგრამ ჩვენი იმედი გაცრუებული აღმოჩნდა.

არც ერთმა ჩვენმა საჭიროებამ, მიუხედავათ აუცილებლობისა და სამართლიანობისა, თავისი გამომთქმელი ვერ იპოვა სახელმ. სათათბიროში. ჩვენ არას ვიტყვით ჩვენის ცხოვრების მრავალ მოვლენაზე, რომელთა გამომჟღავნება სახელმ. სათათბიროს შეეფერებოდა და რომლებზედაც კრინტი არ დაძრულა. აქ შევეხებით ორ საკითხს: საშკოლო და საეკლესიოს (მე განგებ ვჩერდები ამ საკითხებზე, რადგან ჩვენმა დეპუტატებმა ილაპარაკეს),

სათათბიროში ბევრჯერ მიეცათ შემთხვევა ამ საკითხების შესახებ სხვათა დახმარებით შეკითხვა შეეტანათ. დამეთანხმება ყველა თქვენგანი ამ საკითხების მდგომარეობის შესახებ ქვაც კი ალაპარაკდებოდა. ალაპარაკდენ აქიდან წასული დეპუტატებიც! **შეკითხვის ღირსათ,** რასაკვირველია, არ იცნეს არც ერთი საკითხი და ჩვენში რომ იტყვიან, „სიტყვამ მოიტანაო“, ისარგებლეს და ორიოდე სიტყვა ჩვენზედაც დახარჯეს.

ამიტომ, „ქართლის“ რედაქციის აზრით ჩვენი დეპუტატები ყოვლად გამოუსადეგარი ყოფილან.

ამას ემოწმება მეორე უკვე არა უპარტიო, არამედ გასაზღვრული მიმართულების მიმდევარი თფილისელი გაზეთი, „სახალხო გაზეთი“. იმას სიამოვნებით ამოუღია „ქართლიდან“. ზემო ამოწერილი ადგილის მთავარი ნაწილი, და უკომენტარიოთ აწვდის თავის მკითხველს, როგორც ხალას ჭეშმარიტებას.

ამნაირათ, ეს ვითომდა „უპარტიონი“ და პარტიულნი ერთნაირათ ედავებიან ჩვენ, დეპუტატებს. ორნი არიან, ტოლნი არიან, ერთად მიდიან, მიიმღერიან.

მარა ამ მღერაში რამდენი სიტყვაა, იმდენი სიმართლის დაჩაგვრაა.

პირველათ სიმართლეს მოკლებულია ის ცნობა, თითქო ჩვენს დეპუტატებს ამ „სახალხოელთა“ და მათ ამყოლთა კენჭებით გაეკვლიოსთ გზა. პირიქით, ისინი არჩეულ იქნენ მათი კენჭების წინააღმდეგ, მართლა წრფელ და ნამდვილ დემოკრატიულ ელემენტებისაგან, რომელთანაც მათ საერთო არაფერი აქვსთ. მაშასადამე, თავის ხმას ტყვილა აყვედრიან ჩვენ დეპუტატებს.

მეორე. არც ისაა სიმართლე, თითქოს არც ერთ ჩვენ საჭიროებებს, მიუხედავათ აუცილებლობისა და სამართლიანობისა, თავისი გამომთქმელი ვერ ეპოვოს სახელმწიფო სათათბიროში: „ქართლის“ და მასთან ერთად „სახალხო გაზეთის“ რწმუნებით, ისინი მხოლოდ ორ საკითხს შეეხნენ: საშკოლოსა და საეკლესიოს, იგიც გაკვრით ვერ წარმომიდგენია, რას მივაწერო ასეთი სიცრუე. ორში ერთი: ან ქართლის რედაქციას არ მოუსურვებია სახ. დუმის მუშაობისთვის თვალყურის დევნება, ან და განზრახ იბრმავებს თვალს სინამდვილის წინაშე. თუ ასე არაა, აბა როგორ არ იციან, რომ ჩვენ დეპუტატების არც ერთი საკითხი არ დაუტოვებიათ ჩვენი ხალხის უყურად ღებოთ: საშკოლო საკითხში მათ შეკითხვაც შეიტანეს მაგ. მასწ. კუსტანკოვიჩის შესახებ. ეს შეკითხვა ქართული ენის ღირსების დაცვას შეეხებოდა, და შეიძლება „ქართლის“ რედაქციას ყურადღების ღირსათ არ მიაჩნდეს. მოვიყვანთ მეორე საკითხს. ესაა დროებით ვალდებულ გლეხების და ხიზნების გათავისუფლება მებატონეთა უღლისაგან.

ეს საკითხი ხომ მთელი ერის წიაღში ბატონყმობის, ამ ველურობის ნაშთთა თავიდან აშორებას ეხება. იგი გლეხებისთვის მწვავე და საჭირბოროტო საკითხია; ყოველ შემთხვევაში ეპისკოპოსებისა და ავტოკეფალიის საკითხს ხომ ეს ჩამოუვარდება.

„ქართლის“ რედაქციას თავი საგლეხო გაზეთათ მოაქვს, იგი დამცველობას ჩემობს და ასეთი საყურადღებო მოვლენა კი თვალსა და თვალ შუა გამოპარვია. მან არ იცის, რომ ჩვენმა დეპუტატებმა თავის დეპუტატობის პირველ წელშივე შეიტანეს დროებით ვალდებულ გლეხების და ხიზნების შესახებ კანონ-პროექტი სახ. დუმაში, რომლითაც თხოულობდენ გლეხებს უსასყიდლოთ გადასცემოდა ის მიწები, რომელიც მათ დღეს სალალოთ აქვსთ მიცემული მებატონეთაგან. სამი წელიწადი იბრძოლეს, რომ ეს კანონ-პროექტი მიეღებინებიათ შავრაზმელ სახ. დუმისათვის. ბოლოს მთავრობაც იძულებული შეიქნა მათი დაყენებული მოთხოვნისთვის ანგარიში გაეწია და თავის, კანონ-პროექტი შეიტანა. მართალია შეიტანა, მართალია შეკვეცილი, შეზღუდული, მარა მაინც უფრო სასარგებლო ჩვენი გლეხებისთვის, ვინემ დღევანდელი მდგომარეობაა.

სახელმწიფო დუმამაც ეს კანონ-პროექტი მიიღო. ეს კანონ-პროექტი აკანონებს მიწის სავალდებულო გამოსყიდვას გლეხებისაგან. ფულს ამ ჟამათ იღებს ხაზინა და შემდეგ 38 წლის განმავლობაში ნაწილ-ნაწილათ ახდევინებს გლეხებს.

ეს არ იცის, „ქართლის“ რედაქციამ. ან და იცის, მარა თავის მკითხველ გლეხებს უმალავს.

ორივე შემთხვევაში ცხადია, მას სიმართლე არ აინტერესებს, არამედ სულ სხვა მოსაზრება ამოქმედებს.

აი კიდევ ჩვენმა დეპუტატებმა განაცხადეს ეკლესიის საკითხში, რომ ეფისკოპოსების და ავტოკეფალიის მცველობა მათ არ უკისრიათ, მარა ქართულ ეკლესიის სიმდიდრეს რომ იტაცებენ და ენას კრძალავენ, ამის წინააღმდეგ კი მთელი თავისი ძალღონით გაილაშქრებენ, როგორც ვხედავთ, ისინი ერს და მის განძს იცავენ და არა საეკლესიო ბატონთ.

ეს არ მოსწონებია „ქართლს“. ეს მისი საქმეა.

მას ეფისკოპოსების და ავტოკეფალიის დაცვა დემოკრატობა გონია. ჩვენ არ შევედავებით. დაე დაიცვას. მარა ის კი არ ეპატიება, რომ ის ჩვენი დეპუტატების აზრს ამახინჯებს და ჩვენ დეპუტატებს ისე აცნობს მკითხველებს, თითქო მათ შკოლის საკითხიც „უბრალო ვიწრო ეროვნულ-ბურჟუაზიულ ელემენტების მიერ წამოყენებულ საკითხათ მიაჩნდესთ“.

აბა როდის ილაპარაკეს ამ კილოზე ჩვენმა დეპუტატებმა? რათ დაგჭირდათ ასეთი სიყალბის შეთხზვა? წინადადებას ვაძლევთ „ქართლს“ მოგვიყვანოს შესაფერი ადგილები ჩვენი დეპუტატების სიტყვებიდან; მარა მას ასეთი ადგილების მონახვა არ შეუძლია, ეს მათ არც უფიქრიათ. მათ მხოლოდ სურდათ სხვისი ჩაწიხლვით თავისი თავი გამოეყვანათ წრფელ დემოკრატათ, ჩვენი ერის ჭირვარამის მცოდნეთ და დემოკრატიულ ელემენტების მედგარ დამცველათ“.

ჩვენ უკვე ვნახეთ—როგორი ცოდნა და მედგარობა გამოიჩინეს მათ და თუ ასე განაგრძეს, ეჭვი არაა შორს ვერ წავლენ. გულწრფელ დემოკრატობას სხვისი აზრების დამახინჯებით ვერ დაიმტკიცებენ. და მართლა მედგარ დამცველთა და მოჭირნახულეთა დაძრახვით—გმირის სახელს ვერ მოიხვეჭენ.

## რუსეთის პრესა.

მიუხედავათ იმისა, რომ მთელი რუსეთის მოწინავე პრესა უარყოფით უყურებს მესამე დუმის მოღვაწეობას და თითქმის ნულს უთანასწორებს მის დღევანდელ მუშაობას, „ნოვოე ვრემია“ მაინც ირწმუნება, რომ მესამე დუმამ დიდი რამ შესძინა მთელ რუსეთს და განახლების გზაზე დააყენა იგიო. განსაკუთრებით აღტაცებაში მოდის ხსენებული გაზეთი, როცა იგონებს კანონებს მუშათა დაზღვევის შესახებ.

„განახლებულმა რუსეთმა დიდი ნაბიჯი წადგა წინ, მას აქვს მუშათა კანონმდებლობა, რომელსაც შესამჩნევი ადგილი უჭირავს სხვა განათლებულ ქვეყნების ამ გვარვე კანონმდებლობასთან“. და განაგრძობს: „იმათაც კი, ვინც წინააღმდეგია მთავრობასთან და ხალხის წარმომადგენლებთან მუშაობისა და რომელნიც მუდამ წამს ამცირებენ და აბუჩათ იგდებენ ამ მუშაობას, ვიმეორებ, აი ისინიც კი მხოლოდ გაკვრით შეეხნენ ხსენებულ კანონებს დუმაში და მეტი არაფერი... არც ერთი პარტიაში ამ კანონებს აზრთა პრინციპიალური სხვადასხვაობა არ გამოუწვევიათ“ და სხვ.

ერთი სიტყვით, „ნოვოე ვრემიის“ აზრით, ყველაფერი მშვენივრათ ყოფილა და მუშებისათვის მესამე დუმას გამაბედნიერებელი კანონები შეუქმნია.

ამას სწერს „ნ. ვრ.“ იმ კანონზე, რომელიც არა თუ არ მატებს რაიმეს მუშებს, პირიქით,ართმევს იმასაც კი, რაც დღემდე ქონდათ მოპოებული. მაგ. უსპობს უფასო ექიმობას, რომელიც დაავალეს ადგილობრივ კასებს; ამ კასებში კი ფული მუშებმაც უნდა შეიტანონ, ასე რომ მუშები თავისივე ფულით ექიმობენ თავის თავს. კასის მართველობა ადმინისტრაციის ხელშია, სახელმწიფო ერთ კაპეიკსაც არ იხდის და სხვა და სხ... ერთი სიტყვით, ეს არის კანონი კაპიტალისტების დაზღვევის და არა მუშების და თუ „ნ. ვრ“. მაინც აქებს და ადიდებს, ცხადია, ასე უბრძანეს და ისიც ასე იქცევა...

* * *

ლენის საქმეებისა და სენატორ მანუხინის რევიზიის გარშემო მითქმა-მოთქმა თანდათან იზრდება. „უტ. სიბ.“ სწერს:

„ლენის ამხანაგობისათვის ახლა სრულიად არ არის ხელსაყრელი მიიღონ უკან ყველა დათხოვნილი მუშები. ამხანაგობის ყველა დაპირებები უნდა მივიღოთ ისე, როგორც იძულებითი ზავი. ლენის ამხანაგობა ყოველსავე ღონეს ხმარობს, რომ საიდუმლო პლანებით საქმე გაართულოს და დახლართოს. მაგ. სამუშაოზე გამოსვლის პირველსავე დღეს მუშებს მასხარათ იგდებდნენ და ცინიკურათ დასცინოდნენ. მოსამსახურენი ნიშნისმომგები კილოთი მწუხარებას უცხადებდნენ, რომ გაფიცვა დამარცხებით გათავდა და სხ. მეორე მხრით, ამხანაგობა დიდი ყურადღებით და თავაზიანობით ეპყრობა იმ მუშებს, რომლებსაც გაფიცვაში მონაწილეობა არ მიუღიათ. უმასპინძლდება მათ არაყით და ურჩევს არ გაეკარონ გაფიცულ მუშებს. ამავე დროს დადის ხმები ამხანაგობის პროვოკაციულ როლზე, რომელიც ჩუმათ ნიადაგს ამზადებს ახალ გაფიცვის მოსახდენათ, ავრცელებს მუშების სახელით მუქარას სენატორ მანუხინზე და სხ...

კომენტარიები მეტია.

# ახალი ამბები.

ქუთაისის სამეურნეო სასწავლებელში გამოსაცდელი ეგზამენები დამთავრდება დღეს. ამ წელში სულ 7 კაცი ათავებს სასწავლებელს.

✦ ამ დღეებშიუ სამეურნეო სასწავლებლის 7 შაგირდი მასწავლებელი **ქიქოძის** თანხლებით გაემგზავრებათ ყარაიაზს იქ არსებულ საცდელ მინდორში სამუშაოთ და მებამბეობის შესასწავლათ. მასწავლებელი მოსწავლეებთან ერთად იქ დაყოფს 6 თვეს.

✦ **თხოვნები.** ქუთაისის სამაზრო სამოსწავლო ეპარქიალურ საბჭოში აუარებელი თხოვნები შედის. თხოულობენ სამრევლო შკოლებში მასწავლებლობის ადგილს.

✦ ქუთაისში განზრახული აქვთ ახლო მომავალში გახსნან საშვალო ტეხნიკური სასწავლებელი.

✦ რედაქციამ მიიღო ორი წიგნი: პირველი კონრად კიფერი—თავად ლევან ჯანდიერის და მეორე თამარ მეფე ზეპირის ამბებით. ორივე წიგნი ზაქარია ჭიჭინაძის-მიერ არის გამოცემული.

✦ ქუთაისში სამეურნეო სასწავლებლის გამგეს ბ-ნ ალექსანდრე შარაშიძეს და თავადი პეტრე წულუკიძეს განზრახვა აქვთ ქართულ ენაზე გამოსცენ სამეურნეო ჟურნალი.

✦ კავკასიის გეოგრაფიის შესასწავლათ ამ დღეებში ქუთაისს ჩამოვა გერმანიის ქვეშევრდომი ექიმი ავგუსტ ფეტერი. ფეტერი ქუთაისიდან გაემგზავრება სვანეთს.

✦ როგორც ცნობები მოგვდის, ქუთაისის სხვადასხვა კუთხეებიდან წელს ბამბის მოსავალს ყველგან კარგი პირი უჩანს.

✦ გაზეთ „კავკაზის“ ცნობით ქალაქის გამგეობამ დაამთავრა სიებში ჩატანა იმ პირების, ვისაც საზოგადოთ და კერძოთ რუსულ კურიაში უფლება აქვთ ქონების ცენზით მონაწილეობა მიიღოს მეოთხე დუმის არჩევნებში. ასეთები აღმოჩენილან თფილისში 6311 კაცი, ამათში 1,273 კაცი რუსულ კურიას ეკუთნის.

✦ თფილისის ქალაქის გამგეობაში შედის სიები იმ მუშების, რომელთაც მუშათა კურიაში უფლება აქვთ დუმის არჩევნებში მონაწილეობის მიღების.

✦ კავკასიის სავეტერინარო მთავარ გამგეობის წარმომადგენელს ბ-ნ. ა. ლ. სენიავსკის ამ დღეებში ქუთაისში მოელიან.

✦ ქუთაისის პოლიცმეისტერმა აკრძალა რესტორანებში და დუქნებში ყვირილი, სიმღერა და მუსიკის დაკვრა.

✦ 5 ივლისს პროკურორმა ქუთაისში 3000 მანეთის გირაოს წარდგენის შემდეგ გაათავისუფლა სილ. თავართქილაძე. თავართქილაძე მიცემულია სამართალში 1906 წელში გამოცემულ წიგნების „კომუნას“, „რამდენი მიწა უნდა გლეხს“ „ქრისტიანობა და სოციალიზმის“ ხალხში გავრცელებისათვის.

✦ **დაგვიანებული სამგლოვიარო წერილი.** რედაქციამ პოდოლის გუბერნიის ქ. ჟმერინადან იაკობ გოგებაშვილის გარდაცვალების გამო მიიღო ჯარის კაც იონა კილასონიასაგან სამგლოვიარო წერილი.

✦ ხვალ ქუთაისის საპყრობილედან რუსეთის საკატორღო ციხეებში იგზავნებიან ბიკტორი და მარკოზი რობაქიძეები, ბესარიონ ნებიერიძე, გრიგოლ აფაქია, გიორგი ნარსია, მალხაზი ბათხაძე, ალექსანდრე ჩხაიძე და სხვები.

✦ ოთხი წლის ტყვეობის შემდეგ გუშინ ქუთაისის საპყრობილედან გაათავისუფლეს ივანე ჭუმბურიძე და გიორგი გოგსაძე.

## თფილისი

თფ. საოლქო სასამართლოს განყოფილებებს საზოგადო კრების დადგენილებით, მეოთხე სახელმწიფო სათათბიროში არჩევნების საქმეთა განსახილველ კომისიების (საგუბერნიო და სამაზრო) თავმჯდომარედ და წევრებად დაინიშნენ: 1) თფ. კომისიის წევრად—თფ. სასამართლოს წევრი ა. ფ. ალხოვი. 2) სამაზრო კომისიების თავმჯდომარედ და წევრებად: ა) თფილისისა—თავმჯდომარედ, სასამართლოს წევრი მ. მ. მუატი და წევრათ—თფ. მეორე განყოფილების მომრიგებელი მოსამართლე მალოსტოვი; ბ) გორისა—თავმჯდომარედ სასამართლოს წევრი ა. ა. კარასევი და წევრად გორის მომრიგებელი მოსამართლის თანაშემწე დეხმეტიევი, გ) შულავერის—თავმჯდომარედ სასამართლოს წევრი თავ. ა. ნ. ჭავჭავაძე, წევრად—მომრიგებელი მოსამართლეს თანაშემწე სულიევი; დ) ახალციხის თავმჯდომარედ სას. წევრი ე. ნ. კლეშჩენკო, წევრად ახალციხის მომრიგებელი მოსამ. პრიკლონსკი; ე) ახალქალაქის—თავმჯდომარეთ სას. წევრი ჩერნიკი, წევრად მომ. მოს. ქვანია; ვ) სიღნაღის—თავმჯდ. სას. წევრი იაკუბენკო, წევრად—მომ. მოსამ. ვიტარტი; ზ) ზაქათალის—თავმჯდ. სას. წევრი ვალედინსკი, წევრად—მომ. მოს. ავშაროვი, ჰ) თიანეთის—თავმჯდ. საბინინი, წევრად მომრიგებელი მოსამართლე კოჩაროვსკი, თ) თელავის—თავმჯდ. სასამართლოს წევრი მანკო, წევრად—დანილბეკოვი; ი) დუშეთის—თავმჯდ. სას. წევრი ილიაშენკო, წევრად მომრიგებელი მოსამართლე დუშეთის განყოფ. ვასილიევი.

✦ თფ. ნოქართა ერთ ჯგუფს განუზრახავს, თფილისში ნოქართა კლუბი დააარსოს. კლუბის წესდება შემუშავებულია და გუბერნატორს ჩქარა დასამტკიცებლათ წარედგინება.

✦ მიმდინარე წლის მაისის და ივნისის განმავლობაში საბოტანიკო ბაღი 44 ექსკურსიას დაუთვალიერებია. ექსკურსიები ჩამოსულან: პეტერბურგიდან, მოსკოვიდან, კოსტრომიდან, მოზდოკიდან, ეისკიდან, ბორისოგლებსკიდან, ნიჟნი-ნოვგოროდიდან, კიშინოვიდან, ტულიდან, კალუგიდან, ნიკოლაევიდან, ვორონეჟიდან, ხარკოვიდან, პერმიდან და სხვა.

✦ ქალაქის გამგეობამ დაადგინა 1) 5,000 მან. გადასდოს ქალაქის მოურავებად ნამყოფ ა. ს. მატინოვისა და ვ. ნ. ჩერქეზიშვილის საფლავებზე ძეგლების დასადგმელათ, 2) გამოაცხადოს კონკურსი ძეგლების პროექტის შესადგენათ და 3) დადგენილება დასამტკიცებლათ ქალაქის საბჭოს წარუდგინოს. („ს. გ.“)

## ფოთი.

3 ივლისს საღამოს მოხდა ქ. საბჭოს მორიგი სხდომა, რომელზედაც განხილულ იქნა შემდეგი კითხვები: 1. ქუთაისის გუბერნატორის წინადადება—შეუდგეს ქალ. მოურავის მოვალეობის ასრულებს განსაკუთრებული აღმასრულებელი საჯარო კომისია.

2. მისივე წინადადება—დაერთოს ქალაქს ნება საურთიერთო საზოგადოების კასიდან ნაწილ-ნაწილათ გამოიტანოს თავისი 247 ათასი მანეთი და შეინახოს ხაზინაში,

3. წარადგინოს ქალაქმა დამატებითი ცნობები მეოთხე სამობლიგაციო სესხის შესახებ (2. 500, 000 მ.)

4. გამგეობის მოხსენება გიმნაზიის მთავარ შენობაზე მისამატებელ შენობის დანიშნულ ვაჭრობის შესახებ და 5. სავაჭრო-სამრეწველო დაწესებულებათა მოსამსახურეების ნორმალურ დასვენებაზე. დაწვრილებითი ანგარიში შემდეგ ნომერში გვექნება.

✦ 4 ივლისს ქუთაისის საზუბ. ჟანდარმთა სამმართველოს ბრძანებით გაჩხრიკეს სასტუმრო „კოლხიდა“—ს მოიჯარადრე ბ. ივანე ბოლქვაძე. ჩხრეკამ 2 საათს გასტანა. საწინააღმდეგო არაფერი აღმოუჩენიათ. ბოლქვაძე დააპატიმრეს და ქუთაისში გაგზავნეს.

# გურიის ამბები.

ს. ძიმეთში. [illegible] ს. ძიმეთში შემდეგი უბედურება დატრიალდა. გიორგი ხელაძის ცოლი ორი წლის ბავშით ძროხის მოსაყვანათ წავიდა მდ. სუფსის გაღმა. სუფსაზე ნავით უნდა გასულიყვენ, მაგრამ რაკი მენავე იქადარ აღმოჩნდა, თვითონ ჩაჯდა ნავში ბავშით და გაღმა გასვლა მოინდომა. როცა ნავი შუა წყალში შეცურდა, ქალი შიშის გამო წყალში გადავარდნილა: მიმშველი არავინ აღმოჩნდა, რადგან ახლო-მახლო არავინ იყო. ნავი ცოცხალი ბავშით, ორი ვერსის მანძილზე გატაცებული შემთხვევით გავლილ გლეხს უნახავს. დედა კი დიდი ძებნის შემდეგ 12 ვერსის დაშორებით იპოვეს დამხრჩვალი.

— ამ მოკლე დროში აქ დაამთავრებენ ორკლასიანი შკოლის ახალ შენობას. ეს შენობა საზოგადოებას 6000 მან. უჯდება.

— **ნაგომარი.** უკვე შეუდგენ იარმუკობის მზადებას; დაიწყება თუთხმეტ ამ თვიდან.

— პირველი ეკენისთვიდან სწავლა ახალ შენობაში დაიწყება.

**ლანჩხუთი.** პარკის ფასი ჭერჭერობით მხოლოდ თორმეტი მანეთია.

— აქ სამკითხველოს შენობა უკვე დამთავრდა. დაჯდა 400 მანეთამდი.

— აქ აზრათ აქვსთ პირველ ეკენისთვიდან გახსნან კერძო „პროგიმნაზია“. მასწავლებელი ქალი უკვე ჩამოვიდა და მოელაპარაკა საზოგადოებას; საზოგადოებამ დიდი დახმარება აღუთქვა.

— დღეს, შაბათს, 7 ივლისს ადგილობრივ სცენის მოყვარეთა წრე ქ-ნ. მარო მდივანის ბ.ბ. ა. ჯაყელის და ხურციძის მონაწილეობით გამართავს წარმოდგენას. წარმოდგენილი იქნება ნინოშვილის მოთხრობიდან გადმოკეთებული პიესა „ქრისტინე“. იმედია ლანჩხუთის საზოგადოება თანაგრძნობით შეხვდება ამ წარმოდგენას. წარმოდგენის შემოსავალი მოხმარდება ადგილობრივ თეატრის შენობას.

**სადგური ნატანები.** მკვლელობა. დღეს, 4 ივლისს ნაშუადღევის სამ საათზედ სადგურთან მოხდა მკვლელობა. მეტოლეთა ამხანაგობის სტაროსტამ გასილ ყარიგიშვილმა, რომელიც ამხანაგობის გამგეობას ცუდი ყოფაქცევისათვის და ქურდობისათვის სამსახურიდგან დაეთხოვა, მივარდნი და გამგეობის მიერ მიგზავნილ პირებთან დედლედ დიმიტრი ორაგულიძესთან და თაყა სულაქველიძესთან, რომლებისათვის უნდა ჩაებარებია ინვენტარი და ანგარიში; მას უეცრად უმიზეზოთ ბებუთი ჩაუკრავს მღვდლისათვის მუცელში და შიგნეულობა გად-

# ფელეტონი.

## ორიოდე სიტყვა მედიცინის ისტორიიდან.*)

### II.

აღმოსავლეთის ხალხთა შორის დიდ ინტერესს წარმოადგენენ ჩვენთვის ეგვიპტელები. როგორც ვიცით, მეფობა იქ დაარსდა 6000 წ. წ, ქ. დ., აქედან იწყება კულტურის ჩასახვაც ეგვიპტეში. გარშემო ეგვიპტეს აკრავს უდაბნოები, მაგრამ დიდ მოსავლიანს და მშვენიერს ადგილს წარმოადგენს მდ. ნილოსის ნაწილები. ამ ღვთაებრივმა მდინარემ არა თუ მატერიალურათ გაამდიდრა ეგვიპტელები, არამედ ზოგიერთ მეცნიერებათა აყვავებასაც კი შეუწყო ხელი, როგორც მაგალითათ: ასტრონომია, გეომეტრია, ხუროთმოძღვრება და ჰიდროტეხნიკა. ამ სიმშვენიერით შემკულ ნილოსის ხეობაში, რომელიც მდიდარი იყო ბუნებით, შემუშავდა ორიგინალური რწმენა; აქ ვხვდებით ცხოველთა გაღმერთებას (ძაღლი, კატა), რომელთ სიკვდილისათვის სიკვდილითვე სჯიან კაცს. უმთავრესი ღმერთი ეგვიპტელებისა ოზირისა, სიმბოლო მზისა და მდ. ნილოსისი, რომელიც ითვლება მიწის მუშაობის და ყოველგვარი კეთილი საქმის მფარველათ. იზიდა (isis) კი, მისი ცოლი, უძველესი დედოფალი—მთვარისა და ბუნების სიმბოლოა და აგრეთვე ითვლება მედიცინის მფარველათ. რომ იზიდა ექიმია, ეს იქიდან სჩანს, რომ, თანახმად დიოდორე სიცილიელისა, ის აცოცხლებს თავის მკვდარ შვილს გორს, ასწავლის აქიმობას და მომავლის გამოცნობას. აგრეთვე მალენის დროსაც კი ვპოულობთ წამლებს, რომელიც იზიდას სახელს ატარებს. აქვე ვპოულობთ მედიცინის დაბალ ღმერთებს: Imhopt, Bubastis, მაგრამ უდიდესი და უშესანიშნავესი მათში არის Thot ეგვიპტელების Hermesi, მეფ. მენესის შვილი, რომელიც ითვლება ოზირისის მდივნათ; მას დიდი ღვაწლი უძევს მედიცინაში. Thot-ს აწერენ ეგვიპტელების უძველეს სიბრძნის „გერმეტიულ წიგნებს“ (Герметическія книги). ექვს მათგანში, სახელდობრ Embre ან Ambre-ში აწერილია ადამიანის აგებულება, მისი ავათმყოფობანი, ქირურგიული ხელსაწყობები თვალებისა და ქალების ავათმყოფობანი. არც ერთ აქიმს არ შეუძლია გვერდი აუხვიოს მას, რაც გერმეტიულ წიგნებში სწერია.

ეგვიპტელთა მედიცინა ორ ნაწილათ იყოფა: უმაღლესი, **მაგიური** და ჩვეულებრივი—**დოგმატიური.** პირველი იყო მაღალ ხარისხის ქურუმთა ხელში, რომელთაც უნდა სცოდნოდათ 36 გერმეტიული წიგნი. თითოეული ადამიანის ორგანოს ყავს დეკანი (დემონი), ზეციური სული, რომელსაც შეუძლია ამ ორგანოს სენი გამოიწვიოს; მათ გამოსადევნათ ყავთ, ყოველი ორგანოსთვის ცალკე, ქურუმნი, რომელთა აქიმობა გამოიხატება ლოცვებსა და წყევლებში (заклинаніе).

მეორეე ე. ი. დოგმატიური, დაბალ ხარისხოვან ქურუმთა ხელშია; მათ უნდა შეისწავლონ მხოლოდ ექვსი „გერმეტიული წიგნი“ და ნება არ აქვთ მიმართონ იმ საშვალებას, რაც იქ არ სწერია.

როგორც მკითხველი თვითონ დაინახავს, ძლიერ გავრცელებულია მედიცინის ნაწილების სპეციალურათ შესწავლა; აქ ვნახულობთ ყველა ნაწილის აქიმებს [illegible] ქირურგებს და ბეითლებსაც კი.*) მემფისში არსებობს საექიმო შკოლა, სადაც მზადდებიან ექიმები და ემგზავრებიან თუ სასახლეში, თუ ეკლესიებში, საიდანაც აძლევენ დახმარებას ხალხს. გონორარის აღება მათ არ შეუძლიათ. ცხოვრობენ, როგორც ყველა ქურუმები, ეკლესიის შემოსავლით. ეგვიპტელებს აქვსთ აგრეთვე, მცირეოდენი წარმოდგენა: ანატომიასა (metuart., ven., nerv.), პატალოგიისა, ტერაპისა, ქირურგისა, გინეკოლოგისა და გიგიენაზე, მაგრამ ყველა ესენი, გარდა გიგიენისა, რუდიმენტალურ მდგომარეობაში იყო. უკანასკნელი კი ყველა მედიცინის ნაწილებზე უფრო მაღლა იდგა და დიდ სარგებლობასაც აძლევდა ეგვიპტელებს.

ვანები, ხშირი ბანა, საცხებები, უბრალო ცხოვრება, ზოგიერთ საჭმელთა მიუღებლობა, წმინდა თეთრეული, ხშირი საფაღარათოს მიღება, ბავშობის დროს ფეხშიშველობა, დანიშნულ დროს ვარჯიშობა და სქესობრივი მოთხოვნილების დაკმაყოფილება, ყველა ესენი დაკანონებული იყო ეგვიპტეში.

ეგვიპტელების მედიცინა არც ისე ბრიყვია, როგორც მკითხველს ეგონება. მან იცის ბევრი ისეთი რამ, რაც ახლა ჭეშმარიტებათ არის აღიარებული. მაგალითად დოგმატიურმა მედიცინამ იცის, რომ ავათმყოფის ორგანიზმი მუდამ მიილტვის სიმთელისაკენ, რომ ის ებრძვის სენს, რომ ბუნება ადამიანის საუკეთესო მკურნალია.

როგორც ზევით ნათქვამიდან სჩანს, ეგვიპტელების მედიცინა ვიწრო რელიგიურ ფარგლებში იყო ძველათ; მას არ ქონდა თავისუფალი კვლევა-ძიების ნება და არ არის გასაკვირველი, რომ ჩაიხრჩო ამ ფარგლებში. პტოლომეების მეფობის დროს ის სამუდამოთ გამოეთხოვა ასპარეზს და ადგილი დაუთმო ბერძენთა მედიცინას.

გადავიდეთ ახლა ებრაელების მედიცინაზე. მათი მედიცინა ძლიერ ახლოს დგას ეგვიპტელების მედიცინასთან. საკმარისია გავიხსენოთ 400 წლის ებრაელების ეგვიპტელების ბრძანებლობის ქვეშ ყოფნა, რომ მივხვდეთ, თუ რა გავლენა უნდა ქონოდა ეგვიპტელების კულტურას ებრაელებისაზე.

ებრაელების მედიცინა იყოფა ორ ნაწილათ: **ძველი აღთქმისა და ტალმუდისტური.** ძველი აღთქმის მედიცინა წარმოსდგა ეგვიპტელ ქურუმთა შკოლებისაგან; განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ ეგვიპტელთა მედიცინას ყავს აუარებელი მითიური ესკულაპები, ებრაელებისას-კი ერთი ღმერთი. მონოტეიზმმა ფეხი მოიკიდა ებრაელებში აბრაამის დროიდან, ხოლო გაძლიერდა მოსეს დროს, რომელიც ფარაონის სასახლეში აიზარდა და იქ შეისწავლა, როგორც სხვა მეცნიერება, ისე მედიცინა. მისგან აშენებული სახელმწიფო წმინდა ტეოკრატიულია და მედიცინა-კი ტეორგიული. ექიმობის პირველ წარმომადგენლათ ის ასახელებს ერთ ღმერთს: „მე, იეგოვა, ვარ შენი ექიმი“;*) იგივეა მიზეზი ყველა ავათმყოფობისა. რაც შეეხება ძველი აღთქმის ექიმობას, ის აშენებულია როგორც შინაგან და გარეგან საშვალებებზე, ისე მაგიურზე. როგორც ყველა თეოკრატიულ სამეფოში, ისე იქაც, მბრძანებელ კლასათ სამღვდელოება ითვლებოდა, რომლის შთამომავლობით კუთვნილებას შეადგენდა მედიცინა. რაც შეეხება კერძოთ მეციდინის ნაწილებს, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ძველი აღთქმის მედიცინას ანატომიასა და ფიზიოლოგიაზე წარმოდგენა არ ქონდა; ხოლო ცოტა რამ იცოდენ ქირურგიაზე, დედათა ავათმყოფობაზე და ფარმაკოლოგიაზე; რამდენათაც ეს უკანასკნელნი სუსტნი იყვნენ, იმდენათ მდიდარი იყო ჰიგიენა. იმ დროის გამოჩენილ ექიმათ ითვლებიან: მეფე სოლომონი (წამალთ წიგნი), მოციქულნი: ილია, ელიზა და ისაია. ბაბილონელების და მიდიელების ტყვეობაში ყოფნის დროს, ებრაელები უახლოვდებიან შიდა აზიის კულტურას და ამ დროს მათში ვპოულობთ ნამდვილ ექიმებსაც კი.

ტალმუდისტური*) მედიცინა, მით არის შესანიშნავი, რომ მასში ვხვდებით ანატომიის, ფიზიოლოგიის და ემბრიოლოგიის ნასახს, რომელზედაც ძველი აღთქმის მედიცინას წარმოდგენა აქვს; აგრეთვე დანარჩენ ნაწილებსაც ვპოულობთ უფრო შემუშავებულს. აღსანიშნავია რომ ქალთა ავათმყოფობის აქიმობამ ტალმუდისტურ მედიცინის ხანაში, მაღალ წერტილამდი მიაღწია. ტალმუდაში ვპოულობთ: partus siccus, evolucio sporanta, vagitus uterinus და კესარის ჭრილობის (кесарское сѣченіе) ცოდნას.

ახლა გადავიდეთ ინდოეთის მედიცინაზე.

ინდოეთი გაშენებულია უდიდესი მთის გიმალაის ს.ფეხურთან, მას ამშვენებს მდ. განგი და ინდი, რომელთა მეოხებით ჩრდილო ნაწილი წარმოადგენს მშვენიერ მიდამოს; სამხრეთით, სიცხის სამეფოში, ბევრია სხვადასხვა ცხოველები, როგორც მაგალითათ: ლომი, ვეფხი, სპილო, გველები და სხ. აქვე ვხვდებით დამპალ ჭაობებს, სადაც მრავლდება მრავალი მიკროორგანიზმები და სწამლავენ არე-მარეს.

საერთოთ ინდოეთის არაჩვეულებრივმა დებულებამ ხელი შეუწყო მითიურ და ცრუმორწმუნეობის გავრცელებას იქ მცხოვრებ ხალხში. პირველყოფილი მონოტეიზმი იქ შეიცვალა მრავალფეროვან პოლიტეიზმათ; არსებობს მრავალრიცხოვანი ღმერთები, მაგრამ ჩვენთვის ინტერესს წარმოადგენს ასვინები (ტყუპები), რომლებიც ითვლებიან მედიცინის ღმერთებათ.

*) პირველი ნაწილი ჩემი წერილისა მოთავსებული იყო „კოლხიდის“ მე 83 ნომერში. ახლა კი იქ არ ვბეჭდავ ამ მეორე ნაწილს შემდეგი მოსაზრებით: პირადათ მე მომხრე ვარ პიროვნების და მისი რწმენის დაფასების და ამასავე ვითხოვ იმ ლიტერატურიდან, რომელსაც ასე თუ ისე ხელს ვუწყობ, „შოლტის“ წერილით კი „კოლხიდამ“ დამიმტკიცა, რომ ამ პრინციპს ის არ ემსახურება. ჩემდა დამოუკიდებელი მიზეზის გამო მე ამ გაზეთს კარგათ არ ვიცნობდი; თურმე ამას წინათ „ულმობელის“ ფსევდონიმით იქ იბეჭდებოდა ნანდვილი ქუჩური წერილები. ეს რომ მცოდნოდა, რასაკვირველია, იქ არც პირველ წერილს

*) ამისთვის დღესაც კი ვერ მივაღწევია; ამის დასამტკიცებლათ შეგიძლიათ დაუკვირდეთ თანამედროვე ექიმების კარებს და დაინახავთ, რომ ერთი და იგივე ექიმი ღებულობს შინაგან, ქალების, ბავშების და ვენერიულ ავათმყოფებს.

*) Исходъ гл. XV, 26.

*) ტალმუდი,— რაბინების გადმოცემათა და დადგენილებათა კრებულია.

ელექტრო-საბეჭდავი ფერაძისა და კარნაუხოვის, ქუთაისში.

ქუთაისის განყოფილება ამხანაგობა პაიებით ს. მ. კირაკოზოვი, ბ. გ. ოგანოვი და ამხ.
გიმნაზიის ქუჩა, საკუთარი სახლი
მთავარი განყოფილება ვლადიკავკაზში. განყოფილებები: ქ. თფილისში, გიორგიევსკში, ანდიჯანში, პიატიგორსკში და გროზნაში.
С. М. КИРАКОЗОВЪ, Б. Г. ОГАНОВЪ и К°
მიღებულია დიდძალი საქონელი სატინა, ბატისტი, ჩესუნჩა, პარუსინა კისეია, ჩითი და სხვა ქსოვილები ახალმოდის არშიებით.
ПОЛУЧЕНЪ ОГРОМНЫЙ ВЫБОРЪ Сатины батистовъ, чесунчи, парусины, кисеи, ситца и другихъ тканей съ модной каймой. 3—1—3

მოურინებია, მერე მივარდნია თაყა სულაქველიძეს და იგიც სამ ადგილას დაუჭრია. მდ. თრაგველიძე სასიკვდილოთ არის დაჭრილი ის ბათუმში წაიყვანეს. სულაქველიძის ჭრილობა მსუბუქია. დამნაშავე შეიპყრეს.

# დეპეშები.

(პ. ღ. ს.).

5 ივლისი.

## რუსეთი.

**იაკუტსკი.** აქ მოვიდა მეცნიერული მიზნით საფრანგეთის მთავრობისგან გამოგზავნილი მკვლევარი დოკილი ბიუხონი, რომელიც აქედან წავა გემით მდინ. ლენის შესართავში.

**ბოდაიბო.** აქედან 4 ივლისს გუბერნატორის თანდასწრებით სრული წესიერების დაცვით გავიდა ლენის ოქროს მადნების ყოფილ მუშათა პირველი პარტია—ათასამდე კაცი, თავისი ოჯახობით; სენატორი მანუხინიც ამ დღეებში მიდის აქედან ირკუტსკს.

**თფილისი.** ბაქოდან ტელეფონით იუწყებიან, რომ იქ, ბალახანაში ცეცხლი გაუჩნდა ნავთის კოშკებს; დაიწვა 14 კოშკი და ერთი მაზუთის რეზერვუარი. საზღვრის კომისარი იუწყება, რომ რუსეთის საზღვრებიდან შახსევანები განდევნილია არიან და შორს სპარსეთის შიდა მხარეში არიან გაფანტულიო.

**პეტერბურგი.** მინისტრთა საბჭომ თანახმათ საბიუჯეტო წესების მე-17 მუხლისა გადასდო 2,795,000 მანეთი სამრევლო შკოლების მასწავლებელთა ჯამაგირების გასადიდებლათ. ამავე საბჭომ 5 ამ თვის კრებაზე გადასწყვიტა მიეცეს მართლმადიდებელთა სარწმუნოების უწყებას 350,000 მანეთი საეკლესიო შკოლების შენობათა ასაგებათ; ასეთი თანხა მიეცა უწყებას 1911 წელს იმ პირობით, რომ, რაც დააკლდებოდა, ის საკანონმდებლო გზით გამოეთხოვა. უწყების გამოანგარიშებით საამშენებლო ოქმისთვის საერთოდ საჭიროა 18 მილიონი მანეთი.

მინისტრთა საბჭომ დაადგინა: მას არაფერი აქვს საწინააღმდეგო, თუ სამაზრო საარჩევნო კომისიების თავმჯდომარეებათ დაინიშნებიან არა მარტო ადგილობრივი საოლქო სასამართლოს წევრები, არამედ აგრეთვე ერთ და იმავე სამოსამართლო პალატის რაიონის საოლქო სასამართლოს წევრებიც.

სახალხო განათლების სამინისტრომ ყველა სამოსწავლო ოლქების მზრუნველთ აცნობა, რომ მათ უფლება ეძლევათ რუსეთში ნაპოლეონის დამარცხების დღიდან ასი წლის თვის აღსანიშნავათ გამართულ საერო საიუბილეო დღესასწაულზე 1912 წელს მოსკოვში მიიღებიონ მონაწილეობა საშუალო სასწავლებლების მოსწავლეთ, რიცხვით თითოეული სასწავლებლიდან 650 კაცამდე, მხოლოთ მოსწავლეთა დეპუტაციები უნდა შედგენ სწავლაში ბეჯით და ყოფაქცევის მხრით საიმედო ყმაწვილთაგან (უფროს კლასების).

## უცხოეთი.

**პრიზრენი.** ალბანელებმა ჩამოართვეს მთავრობის ჯარის ბათალიონის კამანდირი გენერალური შტაბის წევრი გენერალ მაიორი, რომელიც ამას წინათ სამ სხვა აფიცერთან ერთათ ბრძოლის დროს ხასის თემში არნაუტელებს ჩაუვარდენ ხელში ტყვეთ; ის სამი აფიცერი ჯერ ისევ ტყვეთა ყავთ წაყვანილი ალბანელებს. დიაკოვოდან ალბანელთა ბანაკში მოვიდა ადგილობრივი გარნიზონის 30 აფიცერი ვაბალშაკშედან (?) იუწყებიან, რომ მთავრობა მზათაა მიიღოს ალბანელთა ყველა მოთხოვნები, გარდა ალბანიის ავტონომიისა. ლიუმის ალბანელებმა ქალაქიდან ერთ საათ ნახევარის სავალის მანძილზე პრიზრენ-სკუტარის გზიდან მუშები გარეკეს და მათ მცველ რაზმს რომელიც 40 სალდათისგან შედგებოდა, იარაღი აყარეს.

# სახელმწიფო დუმის ამრჩეველთა საყურადღებოთ.

ქალაქის ყველა მცხოვრებს, ვისაც კი 25 წელი შესრულებია და თავის სახელზე ერთი წლის განმავლობაში ისეთი ბინა ქონებია ნაქირავები, რომელსაც ცალკე შესავალი, სამზარეულო და თუნდაც ერთი ოთახი ქონდა, ნება აქვს მონაწილეობა მიიღოს დუმის არჩევნებში.

ვინც ბინის გადასახადს არ იხდის, ან მარტო მიმდინარე 1912 წ. გადიხადა, ის მოვალეა, რომ დროზე შეუდგეს საარჩევნო სიებში შეტანის თადარიგს; უნდა გამოცხადდეს ქალაქის „უპრავაში“ (12-ტ **ამ თვემდე ქუთაისში, 8 აგვისტომდე თფილისში და სხ.**) და ითხოვოს საარჩევნო სიაში შეტანა, წინააღმდეგ შემთხვევაში მათ სიაში არ შეიტანებენ და არჩევნების უფლებაც დაეკარგებათ.

თუ ბინის დამქირავებელს არ შესრულებია 25 წელიწადი, ან არ შესრულებია ბინის დაქირავების საჭირო ვადა—ერთი წელიწადი, მაგრამ ორივე ეს ვადა სიების შედგენამდე და გამოქვეყნებამდე შესრულდება, მას არ ერთმევა არჩევნების უფლება, ხოლო დროზე უნდა განაცხადოს ეს გარემოება, სადაც ჯერ არს.

განცხადება ეხლაც შეიძლება და მომავალშიაც, ვიდრე სიები გამოქვეყნდებოდეს (ქუთაისში ეს მოხდება 12 კვირიკობისთვეს შემდეგ, თბილისში კი 8 აგვისტოს), შემდეგ კი დაგვიანებული იქნება. ისინი, ვისაც ჯერ არ შესრულბია 25 წელი და არც ბინის ვადა, ან ერთი მათგანი, და ამის გამო ეხლავე ვერ მოითხოვენ სიებში შეტანას, უნდა ცდილობდენ, რომ ეს დრო არ გაუშვან ხელიდან შემდეგ, როცა ერთი წლის ვადა გავა. განცხადება უნდა შეტანილ იქნას ქალაქის თავის სახელზე საქმე დღით, დილის ათ საათიდან. აი განცხადებების ფორმა:

ვქირაობ რა ერთი წლის განმავლობაში ამ და ამ საპოლიციო ნაწილში, ამა და ამ ქუჩაზე ბინას, გთხოვთ შემრიცხოთ სახელმწიფო დუმის საარჩევნო სიაში. ბოლოში მიეწერება მთხოვნელის სახელი, გვარი და რიცხვი.

**განცხადებების დროს თან უნდა წარდგენილ იქნას მოწმობა, რომ ერთი წლის განმავლობაში ბინა გაქვთ დაქირავებული.**

ასეთ მოწმობათ გამოდგება ბინის დაქირავებისას დადებული კანტრაქტები, თუ მისი შესრულების დროს ხელის მოწერა დაამტკიცა ან ნოტარიუსმა და ან ვინმე მართებლობის პირმა.

ვინაიდან ასეთი კანტრაკტები ძვირათ იკვრება და ჩვეულებრივ შინაურულ პირობებით, ან კიდევ უბრალო მოლაპარაკებით ხდება ბინის დაქირავება, დამქირავებელთა უმეტესობას პოლიციიდან მოუხდება მოწმობის აღება. პოლიციას, უნდა წარედგინოს **ან ბინის წიგნი**, თუ ასეთი მოიპოვება, **ან სახლის პატრონის ან მისი მოადგილის მოწმობა**, რომ ერთი წლის განმავლობაში ბინას ქირაობდა. დასახელებულ დოკუმენტების შემოწმებას შემდეგ ბოქაული იძლევა ქალაქის გამგეობაში შესატან შესაფერ მოწმობას. არც ქალაქის გამგეობაში შესატან განცხადებას და არც პოლიციის მერ მიცემულ მოწმობას საგერბო გადასახადი არ ესაჭიროება.

ვინაიდან ყველაფერი ეს კარგა დროს მოითხოვს, მცხოვრებნი ვალდებულნი არიან ეხლავე შეუდგენ თადარიგს.

როგორც ქალაქის გამგეობაში, ისე პოლიციაში შესატანი განცხადება უნდა რუსულ ენაზე დაიწეროს.

**კონსტანტინეპოლი.** ოსმალეთის დესპანს ლონდონში, ევთიქ ფაშას წინადადება მიეცა, რომ მან იკისროს დროებით დიდი ვეზირობა, ვიდრე ახალ კაბინეტს შეადგენდენ. მანამ კი ასიმბეის მიანდეს დიდი ვეზირის თანამდებობის შეასრულოს.

**ტოკიო.** იმპერატორის თავმჯდომარეობით სასახლეში გაიმართა საიდუმლო თათბირი, რომელიც შეეხებოდა ჩინეთის აწინდელ საერთაშორისო საგულისხმო მდგომარეობას. კრებას დაესწრო მთავარ მინისტრი, რომელმაც საჭირო ახსნა-განმარტება მისცა მოთათბირეთ განსაკუთრებით ჩინეთის შესახებ.

**თავრიზი.** რეშიდულ მულკას სპარსელი რაზმი არდებილიდან წავიდა სუმარინს, სადაც ის რუსებს შეუერთდება შახსევანების წინააღდეგ საერთო მოქმედებისათვის.

# რუსეთი.

(გაზეთებიდან)

**მოსავალი.** სამხრეთ რუსეთში წელს კარგ მოსავალს მოელიან.

**ტოლსტოის მემკვიდრენი.** „სოვრ. მოლვ.“ სიტყვით ვ. ჩერტკოვთან ამ ჟამათ ცხოვრობს 60 ტოლსტოველი. ნახევარი მათგანი მიწას ამუშავებს, ნახევარი კი დიდებული მოხუცის მიერ დატოვებულ მასალებზე მუშაობს. ათი კაცი ჩერტკოვისა და გუსევის ხელმძღვანელობით, სხვადასხვა ნაწერში გაბნეულს ტოლსტოის აზრებს კრებენ, რამდენიმეს კი დავალებული აქვს კორესპონდენციის წარმოება; თუ ტოლსტოის სიცოცხლისას „იასნაია პოლიანა“ ავსილი იყო პასუხის გასაცემ კერძო წერილებით, დღეს ამავე მდგომარეობაშია სოფ. ტელიატნიკში ჩერტკოვი.

**მოსალოდნელი შიმშილი.** ადესაში ბენდერის მაზრიდან ცნობა მოსულა, რომ იქ სეტყვას გაუნადგურებია 23 ათასი დესეტინა ნათესი. ზარალი ორ მილიონ

---

800 წ. წ. ქ. დ. აქ ვრცელდება **ბრამაიზმი**, აშენებული მონოტეიზმზე. ბრამა, ეს უზენაესია, რომელიც წარმოადგენს ყველაფერს, გარეშე მისა არაფერი არ არსებობს; ქვეყანა, იგივე ბრამაა, ყველაფერში მისი ნაწილი ურევია. კოვნერის აზრით ეს **უმანაციური ბანტეიზმია.** 200 წლის შემდეგ, სახელდობრ 600 წ. წ. ქ. დ. ინდოეთში ვრცელდება **ბუდიზმი**; (ეს პროტესტია არსებული უსამართლობის წინააღმდეგ) ბუდას აზრით ქვეყანა შემთხვევით გაჩნდა, ქვეყანა ეს უდიდესი ბოროტებაა, ის სწუხს და სტირის ამ უბედურებაზე და ქადაგობს თანასწორობას და ძმობას; მისი აზრით ყველა ადამიანი ერთია. ბუდიზმი დიდათ წინ სწევს საერთოთ ინდოელების კულტურას და კერძოთ მედიცინას.

ინდოელების მედიცინა შეიძლება სამ პერიოდათ გავყოთ: მითიური, ბრამანული და ბუდიური. პირველი ხანა ეს უღარიბესია ინდოელების მედიცინისა, მის აღწერას ჩვენ ვპოულობთ „რიგვედაში“, სადაც ჩამოთვლილია მედიცინის ღმერთები; მათ შორის პირველი ადგილი უჭირავს ასვინებს; აქვე ვპოულობთ ცნობებს შინაგან ავათმყოფობებზე და ქირურგეზე. ამ პერიოდის ტერაპია, შესდგება ლოცვებისა და მაგიურ საშვალებებისაგან.

მედიცინის მეორე პერიოდი აწერილია აიურვედში (Ayur-veda). ამ დროს მედიცინა, გარდა ქირურგისა, ქურუმთა ხელშია, ხოლო ქირურგებათ ერის კაცებია, რადგან ქურუმთ აკრძალული აქვთ ეს ხელობა. ბრამანული მედიცინა ბევრათ უფრო მაღლა იდგა მითიურზე. აქ ჩვენ ვპოულობთ კარგათ დაყენებულ საექიმო სწავლა-განათლებას; აქიმისაგან კანონი თხოულობს საგნის სერიოზულ ცოდნას და ავათმყოფის ღრმა დაკვირვებას. თუმცა ამ დროის ტერაპიაც შესდგება ლოცვებისა და წყევლისაგან (Заклинаніе), სუშრუტას აიურვედს თუ დავუკვირდებით, დავინახავთ რომ, ბრამანულ პერიოდში მედიცინის ნაწილებს შეადგენდა: დასაწყისი (liber principiorum), კერძო პატალოგია, ორგანიზმის აგებულობა, ფიზიოლოგია, ემბრიოლოგია, ტერაპია კერძო და ქირურგიული, ტოკსიკოლოგია და სხვა. აღსანიშნავია, რომ ინდოეთში არ იყო გავრცელებული მედიცინის ნაწილების სპეციალურათ შესწავლა, როგორც ეგვიპტესა და ებრაელებში. აქიმს უნდა ცოდნოდა ყოველგვარი სენის მკურნალობა. როგორც ზევით ჩამოვთვალე ინდოელების მედიცინის ნაწილებს შეადგენდა ყველა ის, რაც ახლა არის, მაგრამ ეს ნაწილები რუდიმენტალურ მდგომარეობაში იყო; საერთოთ უნდა ვთქვათ, რომ ინდოელების მედიცინა ბევრათ უფრო მაღლა იდგა ეგვიპტელებისა და ებრაელებისაზე. საინტერესოა რომ ბრამანული პერიოდის მედიცინამ იცოდა ყვავილის აცრა: „აიღეთ ლანცეტის ყვავილის ლიშვა, ან ძროხისა, ან ადამიანისაგან და გაუკეთეთ ჭრილობა ხელზე მეორე ადამიანს, როდესაც ბალღამი სისხლს შეერევა, კაცს გააცხელებს“. დიდ-მნიშვნელოვანი იყო მაშინ, აგრეთვე ქირურგია:

„უპირველესი და საუკეთესო ნაწილი მედიცინისა, ძვირფასი ქმნილება ზეცისა და ჭეშმარიტი წყარო ბედნიერებისა“. მაშინდელმა ქირურგიამ იცოდა აგრეთვე ტრანსპლანტაცია; როდესაც ცხვირი ქონდა ცუდი ადამიანს, ლოყაზე ჰრიდენ ღრმათ კანს და გადაქონდათ ცხვირზე, პლასტიკური მიზნით. თუმცა ცეიზი, მის „პლასტიკური ქირურგიის ისტორიაში“, ამ აზრს არ ეთანხმება და უწოდებს ყალბს. მისი აზრით იმ დროის მედიცინამ პლასტიკური ქირურგიის არაფერი იცოდა. კიდევ ბევრი საინტერესოს თქმა შეიძლებოდა ამ ხანას აქიმობაზე, მაგრამ ვშიშობ საუბარი არ გამიგრძელდეს, და ამიტომ ვარჩევ გადავიდე ბუდურ პერიოდზე.

ბუდას მედიცინა თითქმის არავითარ ინტერესს არ წარმოადგენს მეცნიერებისათვის; თუმცა ბუდიზმის გამეფება მთელ რევოლიუციას მოასწავებდა კაცობრიობის ისტორიაში, მაგრამ მედიცინას მან სარგებლობა ვერ მოუტანა. როგორც ბრამანული პერიოდი ისე ესეც ყოველგვარი სენის მიზეზათ ასახელებს ერთმანეთზე არა ნორმალურ ზე გავლენას! მიწისას, წყლისას, ცეცხლისას, ჰაერისას და ეფირისას.

ამით დავათავებ ინდოელების მედიცინაზე ლაპარაკს და ვიტყვი, რომ მასზე არავითარი გავლენა არ ქონია სხვა ხალხთა მედიცინას; ის აზრი, თითქოს ეს უკანასკნელი, ბერძენთა მედიცინის გავლენას ქვეშ ყოფილიყოს ტყუილია, კოვნერის აზრით, შეიძლება ითქვას, რომ თვით ბერძნებმა ისარგებლეს ინდოელების მედიცინით. ჰიპოკრატმა ინდოეთში მოგზაურობის დროს, ზედმიწევნით შეისწავლა მათი მედიცინა და შემდეგ გამოიყენა ნიჭიერათ.

როგორც ებრაელების მედიცინა იყო ეგვიპტელების გავლენას ქვეშ, ისე ირანელების მედიცინას ჩაუდგა სული ინდოელებისამ. უმეტეს ნაწილათ ირანში მცხოვრებ ხალხთა მედიცინაზე ჩვენ არაფერი არ ვიცით; გვაქვს მხოლოდ ნაწყვეტი ცნობები სპარსელების, მიდიელების და ბაქტრიელების მედიცინაზე. ორიოდე სიტყვა, რომელიც ვიცით ამ ხალხთა აქიმობაზე, არავითარ ინტერესს არ წარმოადგენს, გარდა იმისა, რომ სპარსელების და მიდიელების მედიცინას დიდი დამოკიდებულება ქონდა 8 ორატორის სწავლასთან. 8 ორატორის სწავლა მოთავსებული იყო 21 წიგნში, რომელშიდაც დიდი ყურადღება ექცევა მედიცინას. პლინიუსი უფრო შორს მიდის და ანბობს, რომ ზოროასტრის სწავლის ჩასახავს და გავრცელებას ხელი შეუწყო მედიცინაში (Ученіе Зороастра обязано своимъ происхожденіемъ медицинѣ).

ამნაირათ, აშკარაა ირანის მედიცინის მჭიდრო კავშირი, დუალისტურ ზოროასტრის სწავლასთან. დანარჩენს ვერაფერს ვიტყვი ირანის მკურნალობაზე, გარდა იმისა, რომ იქაური მედიცინა წმინდა ტეურგიული იყო.

ახლა ორიოდე სიტყვა ჩინეთზე და იაპონიაზე. ჩინეთი, ეს ერთი უძველესი სახელმწიფოთაგანია; მათ ძველ დროს ქონდათ მდიდარი კულტურა, მაგრამ წმინდა სპეციფიურ მიზეზების გამო, ის გაიყინა; ჩინელების კონსერვატიულმა პსიხიკამ ხელი შეუწყო ამას. მათ უბედურების ის შეადგენდა, რომ თავიდან ისინი წარსულის მოწიწებით თაყვანისცემაში ატარებდენ დროს. მათ ვერ წარმოედგინათ, რომ ძველათ შეიძლებოდა შეცდომები და საჭირო იყო მისი გასწორება. ასეთი ხალხის ხელში გასაკვირველი არ არის, რომ კულტურა წინ ვერ წავიდა.

ჩინელთა პირველ აქიმთა გადმოცემა ასახელებს მეფე Ching-Nong-ს, რომელმაც გააშენა მედიკური მცენარეები და აღმოაჩინა ის Nouaug-Fy-მ კი მოიყვანა ეს უკანასკნელი სისტემაში და დაწერა დიდი საექიმო თხზულება Nna-King. საუკეთესო მედიკური თხზულებები იყო: Fsin-io-zluan-schu და Benzao-gan-mu. ჩინელთა აზრით, მედიცინა ვერაფერს მიხვდება, თუ განგებას არ სურს: „Человѣкъ не знакомъ ни съ происхожденіемъ, ни съ теченіемъ болѣзни, онъ не знаетъ ни того, какъ онъ родится, ни какъ умираетъ, все покрыто для него тайной...“ ასეთია ჩინელების აზრი სენსა და მის მკურნალობაზე. რაც შეეხება მედიცინის ნაწილებს, სუსტია და შეუმუშავებელი, მაგრამ ზოგიერთი ძლიერ ორიგინალურ რამეს წარმოიდგენს, მაგალითად (ფიზიოლოგია) ადამიანში ისინი სცნობენ დაღებით, მამრობითი სქესის დასაწყისს, ზეციურ მიზეზს, რომელსაც უწოდებენ yang, და უარყოფით დედრობით სქესის დასაწყისს, მიწიერს,—yn. არ არის ისეთი, რომელშიდაც ეს ორი მიზეზი არ იყოს: რომელშიდაც პირველი სჭარბობს, მასში მამრობითი ძალაა და რომელშიც მეორე მეტია, მასში დედრობითი. მაგალითად ამ ორ მიზეზზეა დამოკიდებული პულსი, რომელსაც დიდ ყურადღებას აქცევდენ ჩინელები; ვისშიდაც სჭარბობს yaug, მას პულსი ჩქარი, სავსე, მაგარი და ძლიერი აქვს; ხოლო ვისშიდაც yn, მას სუსტი, ღრმა და ცვალებადი.

როგორც ყოველგვარ არსის, ისე ავათმყოფობის მიზეზათ ჩინელები ასახელებენ: ჰაერს, წყალს, ცეცხლს, ლითონს და ხეს; ამას გარდა მათი ტერაპია ტრიალებს სითბოსა და სინესტეზე, არც მათი materia medika არის ინდოელებისაზე უფრო დარიბი.

ჩინელების მედიცინასთან ძლიერ ახლოს დგას იაპონელების; ეს უკანასკნელი, პირველის პირდაპირ გავლენის ქვეშ იყო, განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ იაპონელების **ტეურგიულია**, მაშინ როდესაც ჩინელების **ფილოსოფიურ ნიადაგზე დგას.** მათი მკურნალობის ღმერთებია Abutto და Tottei.

ამით დავათავებ აღმოსავლეთ ხალხთა მედიცინის ისტორიას, როგორც მკითხველს თვით შეუძლია დაინახოს, ის უფერული, ღარიბი და შებორკილია. რელიგიური ფარგლები და წარსულში ნეტარების ძებნა, მას აცდენს პირდაპირ გზას, ხელს უშლის სერიოზულ კვლევაძიებას და მოვლენათა ღრმა დაკვირვებას. ამნაირათ აღმოსავლეთმა ვერაფერი შეიტანა მედიცინის განვითარებაში, რამდენათაც აღმოსავლეთის მედიცინა უძლური და უფეროლია, იმდენათ ძლევამოსილი და ფეროვანია დასავლეთის, რომლის განხილვასაც შეუდგებით მალე.

სტუდ. ქ. ერისთავი.

საჰაჭრო სახლი ი. გოკიელის შ-ბის საჰაჭრო სახლი
ამით აუწყებს პა~ივცემულ საზოგადოებას—ვინაიდან საზღვარგარეთისა და რუსეთის პირველ ხარისხოვან მწარმოებლებთან შეღავათიანი პირობებით არის შეკრული, შესაძლებლათ [illegible]
დასწიოს ფასი
საწერ და კანცელარიის საჭირო ნივთებზე.
ახალი პრეისკურანტები კანცელარიებს მუქთად დაურიგდება. მ.—1—4

? დავით ქეზაძე ? მ—5—4.

მკითხველების საყურადღებოთ
სავაჭროში ძმ. ფ და ლ. ფილიპოვების სავაჭროში
ქუთაისში, მიხაილოვის ქუჩა ძმ. გოკიელოვების სავაჭროს გვერდით იყიდება შემდეგი საქონელი: ფარფორის, ფაიანსის, შუშეულის ნივთები, ყოველგვარი ლამპები, ემალიანი ჰურჭლები, სამზარეულოს ფეჩები და სპირტოვკები, სამოვრები, უთოები, მელხიორის ნივთები, ყოველგვარი კრაოტები, გიტარები, კლიონკები, სკამები და პირ-საბანები და სხვა.
დიდი კოლექცია ბავშვების სათამაშოების და ბევრი სხვა და სხვა საფეშქაშო ნივთების
პარტიით მყიდველთა საყურადღებოთ აქვე იყიდება დიდ-ძალი საპარტიო ყოველ გვარი ფაიანსის და შუშეულის საქონლები, ფასები შესამჩნევად დაკლებულია. მ—5—4


მანეთს უდრის. მკვიდრთ შიმშილი მოელისთ.

**იარაღის ამოჩენა.** ბაქოს სადგურზე ჟანდარმმა შეამჩნია, რომ ვიღაც თათარს საეჭვო სიმძიმის კალათები მოქონდა. ის მოვიდა და კალათების გაჩხრეკა დააპირა. თათარმა, ოღონდ გაჩუმდიო, და ოცდათი მანეთი ქრთამი მისცა. ჟანდარმმა ქრთამიც აიღო და კალათიც გაჩხრიკა. შიგ აღმოჩდა 450 რევოლვერის ჰატრონა, ბერდენა და 20 გირვანქა თოფის წამალი.

**რესპუბლიკის დღესასწაული.** მიმდინარე თვის 14 მოსკოვში დასახლებული ფრანგები იდღესასწაულებენ საფრანგეთის რესპუბლიკის გამოცხადების დღეს'

**პროფესორების არ დამტკიცება.** სარატოვის უნივერსიტეტში სამინისტრომ არ დაამტკიცა ადგილზე რვა პროფესორი.

**მატროსები სამართალში.** „რუს. სლ." ატყობინებენ სევასტოპოლიდან, რომ იქ ირჩევა დახურულ კარებში ბრანენოსეც „იაოან ზლატოუსტის" 16 მატროსის საქმე, რომელთ ბრალათ ედებათ ამხანაგების ასაჯანყებლათ მოწოდება.

**ებრაელების გადასახლება.** ხერსონესის გუბერნატორმა ბრძანება გასცა ასრულებულ იქნას დადგენილება ებრაელების სოფლებიდან გადასახლების შესახებ. გადასახლებული იქნება 10 ათასი ებრაელი.

## დაბა-სოფელი.

**ლანირის საზოგადოება.** ამ რამდენიმე წლის წინათ ხსენებულმა საზოგადოებამ „ბაზრობა" დააარსა. სამწუხაროთ, როგორც ჩვენში საერთო სენათაა გადაქცეული, ატყდა უთანხმოება, თუ სად უნდა გამართულიყო „ბაზარი". ხანგრძლივი მიწევ-მოწევის შემდეგ, ერთმა მხარემ ძლია და მისი დაჟინებით არჩეულ იქნა შეუფერებელი ადგილი. „ბაზრობა" დაარსდა საზოგადოების არა შუაგულ ადაგს, არამედ განაპირას. რის გამოც საქმეს მალე უკან სვლა დაეტყო: „ბაზრობა" გაძლიერების ნაცვლათ, მალე მისუსტდა. მეთაურებმა მოინდომეს მისი ხელოვნურათ აყვავება და ისიც საზოგადოების ხარჯით: ერთ მშვენიერ დღეს მოუყარეს თავი საზოგადოებას და ურჩიეს, დაედგინათ განაჩენი, რომლის ძალით სოფლათ არსებული ყველა დუქნებისთვის ერთ აღნიშნულ საბაზრო ადაგას უნდა მოეყარათ თავი. ამას, რა თქმა უნდა, საზოგადოება არ დათანხმდა, რადგანაც ბევრი მათგანის ინტერესი მოითხოვდა რომ დუქნები ისევ ძველებურათ თავ-თავის ადგილზე დარჩენილიყო. მეთაურები მაინც არ იშლიდენ თავისას და საზოგადოებას შემდეგ შიაც ბევრჯერ მოუყარეს თავი, რომ დაეთანხმებიათ როგორმე ზემო ხსენებული განაჩენის დადგენაზე. მაგრამ, ხალხი უოვვლთვის უარზე იდგა. შემდეგ შეეცადენ თავიდანვე მომხრე მამასახლისი აერჩიათ და მისი დახმარებით საქმე როგორმე მოეგვარებიათ, მაგრამ აქაც დამარცხდენ: ხალხმა თავისი მომხრე მამასახლისი, ნერიმან ლომიძე აირჩია. საუბედუროთ, ეს პატიოსანი კაცი უბედური შემთხვევის მსხვერპლი შეიქნა, რის გამოც ხელმეორეთ მიეცათ საშვალება მოწინააღმდეგეთ აერჩიათ თავისი მამასახლისი. და მართლაც შეისრულეს გულის წადილი; ათასნაირი ხრიკების საშვალებით ბოლოს როგორც იყო არჩეულ იქნა ზემოხსენებული ბაზრის დამხმარებელთაგანი, ანტონ სულავა, რომელიც შეუდგა თავის განზრახვის სისრულეში მოყვანას. ეს ვაჟბატონი არავითარ ზომას არ მოერიდა, რომ თავისი განზრახვა შეესრულებია. ყველა თავისი მოწინააღმდეგეები „მავნე" პირების სახელით თავიდან მოიშორა: ყველა ცივი ქვეყნებისაკენ გაისტუმრა. მისი მოხერხებით ყველა შორეულ გუბერნიებში გადაასახლეს. ის ამას როდი დაჯერდა: ხალხის მომხრე მოხელეებს „შარი" მოუდო, ხოლო თავი თვისი არ დავიწყებია და შეუდგა ქრთამების აღებას, სოფლის ფულის ფლანგვას. მაგრამ ჩვენებურმა „დანოსჩიკებმა" უოველივე ეს მას დიდხანს აღარ დააცალეს: შეუტანეს „დანოსები" და მალე მამასახლისობიდან გადააყენებიეს „უმაღლეს მთავრობას". ახლა მის მოვალეობას ასრულებს —დუკა გალდავა; ეს მეხუთე მამასახლისია, რომ ჩვენმა საზოგადოებამ ამ სამი წლის განმავლობაში აირჩია. ამ გარემოებით და ან. სულავას ბოროტ მოქმედებით ხალხი ძლიერ აღელვებულია. საჭიროა მისი პასუხისგებაში მიცემა, ვისგანაც ჯერ არს; საჭიროა დამნაშავეს სკამზე ამ ბოროტ ადამიანს გვერდში ამოუჯდინონ ყველა ის პირები, რომლებიც მხარს უმშვენებენ ხალხის საწინააღმდეგო მოღვაწეობის დროს

ქვიტირელი.

**სოფელი ეწერა** (სამტრედიის რაიონი) ასეთია: ეწერი, რომელიც რამდენიმე კუთხისგან შედგება (თვითონ ეწერი, ოჭოავა, კეჭონარი, გვიმრალა და დათვური), ადმინისტრატიულათ შეერთებულია ისეთ დაშორებულ სოფლებთან, როგორიც, მაგალითად, იანეთია. ამ სოფლებს თავიდანვე ერთი სასოფლო სამართველო აქვთ, რომელიც თავიდანვე მათ, ს. ეწერისა და იანეთის საზღვარზეა დაარსებული. ამ გარემოების მიხედვით მთავრობამ შკოლაც აქ დაუარსა ამ საზოგადოებას 1878-ს თუ 79 წელს. მას შემდეგ დღემდე ეწერელებს და იანეთლებს, აგრეთვე სხვა სოფლებსაც (ჯიქთუბან და სამტრედიას) შკოლა ასეთ განაპირა ადგილას ქონდათ დაარსებული. თუმცა ეს ადგილი, როგორც მკითხველი ხედავს, შუაგულს შეადგენს ამ საზოგადოების სოფლებისას, მარა თვითეული სოფლისთვის იგი განაპირა ადგილს წარმოადგენს. ეს კარგა ხანია შეიგნეს ცალკე სოფლებმა და იწყეს შეძლებისდაგვარათ თავ-თავიანთთვის ცალკე სკოლების დაარსება. დაიარსა ცალკე ორ-კლასიანი სასწავლებელი ს. იანეთმა, ს. სამტრედიამ; ახლა ჯერი მიდგა ეწერზე. მარა, სამწუხაროთ, ეწერი და სხვა დანარჩენი სოფლები და კუთხეები ჯერ იმდენათ მცირე და ღარიბი არიან, რომ ცალ-ცალკე ორ-კლასიანი შკოლის დაარსება არ შეუძლიათ; ამიტომ იძულებული არიან, თუ უნდათ ორ-კლასიანი სასწავლებელი ქონდეთ და ისიც რიგიანათ მოწყობილი, აუცილებლათ ერთმანეთს შეუთანხმდენ და ერთი კარგათ მოწყობილი შკოლა დააარსონ შუაგულ ადაგას. დღევანდელი შკოლა კი, რომელიც აგებულია ხსენებულ განაპირა ადაგას, სოფლის სასამართლოსა და სამიკიტნოს გვერდით, ძველ და ვიწრო უხერხულ შენობას წარმოადგენს. უოველივე ეს თვით ქუთაისის გუბერნიის სახალხო შკოლების დირექციამაც აღიარა და თვითონვე მიუთითა ხალხს, რომ შკოლა მეტათ უხერხულ ადაგზეა აგებული, შენობაც უვარგისია და უთუოდ მის გადატანაზე და გაუმჯობესებაზე უნდა იფიქროთო. გლეხთა „ურილობამ" თუმცა რამდენჯერმე დაადგინა განაჩენი დირექციის წინადადების თანახმად, რომ შკოლის შენობა გადაკეთდეს და გაუმჯობესდეს, საჭირო ფულიც გაიწერა და გადიხადა კიდეც, მარა, რაც შეეხება შკოლის შენობის შუაგულ ადაგას გადატანას, დღესაც ვერ გადაუწყვეტია. ამ კითხვამ: დარჩეს ძველ ადგილზე შკოლა, თუ გადაიტანონ და ახალი შენობა აგონ უფრო მოხერხებულ, ჰიგიენურ და შუაგულ ადაგას, ყველა დაინტერესებული სოფლები და კუთხეები ორ ჯგუფათ, ორ ქუჩათ გაყო. პირველ ჯგუფს შეადგენენ: ჯიქთუბანი, გვიმრალა და ახალ-სოფელი, ხოლო მეორეს—ეწერი, დათვური, ოჭოფა და კეჭონარი. მოსახლეთა რიცხვით პირველი ქუჩა სჭარბობს მეორეს; მარა მიუხედავათ ამისა, მოსწავლეთა რიცხვი თანასწორია. დღეს შკოლა არის ჯიქთუბან—ახალ-სოფლის ქუჩაზე, ს. იანეთის საზღვართან ახლო, ასე რომ ეს ადგილი თვით ამ ქუჩისთვისაც განაპირა ადგილს წარმოადგენს, მარა უოველ-შემთხვევაში იმათ ახალ ადგილზე უფრო ეს ადგილი ეახლოვებათ, რადგანაც დიდი ხნით დაჩვეულნი არიან; ამიტომ ისინი არჩევენ, რომ შკოლა ისევ ძველ ადაგზე დარჩეს; ეს უფრო მათი ძველი ჩვეულებაა, ვიდრე მათი კუთხის ინტერესი. ამიტომ ისინი ვერც ამბობენ, რომ შკოლა ჩვენზე ახლოა და ამიტომ გვინდა იქვე დარჩესო. როცა ეკითხებით: გსურთ თუ არა შკოლა შუა ადაგას დაარსდესო, ისინი ერთხმათ გიპასუხებენ, გვსურსო, მარა როცა მოთხოვენ ასეთ განაჩენზე ხელის მოწერა, მაშინ ყველამ უარი განაცხადა იმ მოსაზრებით, რომ შკოლას, მათი ფიქრით, ისეთ ადაგზე გადიტანებენ, რომელიც უოველ, შემთხვევაში, ჩვენთვის ძველ შეჩვეულ ადაგზე უფრო დაშორებული იქნებაო. „ჩვენთვის", „ჩვენი კუთხისთვის" დაშორებული იქნებაო, აი ერთადერთი საბუთი, რომლითაც ეს ქუჩა ხელმძღვანელობას და ნებას არ აძლევს, რომ სხვა კუთხეებმა შკოლის შენობა საუკეთესო, ჰიგიენურ და ცენტრზე დაახლოვებულ ადაგას აგონ. მეორე ქუჩა—დათვურ ოჭოფას ქუჩა თავიდანვე მსურველია, რომ დაიარსოს ცალკე შკოლა მარა, რადგანაც ეს სიმცირისა და სიღარიბის გამო მას არ შეუძლია, იგი იძულებულია თხოვოს შეთანხმება-შეერთება პირველ ქუჩას, რომ საერთო ღონით, როგორც დღემდე, ისე შემდეგშიაც აწარმოვონ ნაყოფიერათ და მომავალი თაობის საკეთილდღეოთ საერთო შკოლის საქმე. ამის წინააღმდეგი მაინცდამაინც არც პირველი ქუჩაა, მხოლოდ განხეთქილებას ბადებს საშკოლო ადაგის არჩევის კითხვა. ამ კითხვის გადასაჭრელათ ხალხმა რამდენჯერმე აირჩია კომისია, რომელსაც შუა ადაგას ამორჩევა (გაზომვით) მიანდო; მარა კომისიის წევრნი ვერ შეთანხმდენ, ვინაიდან უხერხული შეიქნა მცხოვრებლების ფართო ტერიტორიაზე დაქსაქსული მოსახლეობის გამო შუა ადაგის გამოძებნა; ამასთან დაახლოვებით შუა ადაგი ისეთ ფარგალში მოხვდა, რომელიც ჩვენს სოფელში ყველაზე ჭაობიან და დაცემულ ადაგათ არის აღსარებული სახელდობრ, გვიმრალა-ეწერის გზის შუა ადაგები. ამნაირათ შკოლისთვის შუა ადაგები ვერ მოიძებნა და თუ არის ასეთი, ის უვარგისი და ჭაობიანია. რა უნდა ქნას ხალხმა ასეთ პირობებში? მას ახლა სამი გზა აქვს: 1) ან უნდა დატოვოს შკოლა ისევ ძველ ადგილზე, ან 2) გადიტანოს უხერხულ, ჭაობიან შუა გულში და ან 3) გაწიოს ასითდე საჟენით დასავლეთისაკენ შუა ადაგიდან გვიმრალა-ეწრის გზაზე და აგოს საშკოლო შენობა მშვენიერ, უოველ მხრივ მოხერხებულ და ჰიგიენურ ადაგზე, სადაც საუცხოვო სასმელი წყალი ქუხს, რომლის მსგავსი მეორე არ მოიპოვება სულ სამტრედიის რაიონში. ამ ადაგას ხალხი „წყაროს თავს" უწოდებს. აი საშკოლო და უოველგვარი სასოფლო კულტურულ დაწესებულებისათვის შესაფერი ადგილი. დიდათ სასურველია, რომ საზოგადოების შეგნებულმა ნაწილმა მიიღოს უოველივე ზომა, რათა შკოლა ამ ადაგას აშენდეს.

**ეწერელი გლეხი.**

რედაქტორ-გამომცემელი
ა. სულაქველიძე.

### მატარებელთა საზაფხულო მიმოსვლა.

18 აპრილიდან 1912 წ.

(საათი აღნიშნულია ქუთაისის დროით).

**ქუთაისიდან გადის:**

**თფილისაკენ:** ჩქარი № 31, 1 ს. 34 წ. ღამით, სახალხო № 33. 4 ს. 40 წ. ღამით, ფოშტ. № 35 1 ს. 50 წ. დღით.

**ბათომისაკენ:** სახალხო № 31 1 ს. 34 წ. ღამით, ჩქარი № 33 4 ს. 40 წ. ღამით, ფოშტ. № 37 5 ს. 46 წ. საღამ.

**ფოთისაკენ:** სახალხო № 31 1 ს. 34 წ. ღამ., სახალხო № 33 4 ს. 40 წ. ღამ., სახ. № 25 5 ს. 14 წ. საღ., ფოშტ. № 37 5 ს. 46 წ. საღ.

**შორაპნისაკენ:** სახ. № 29 4 ს 45 საღ.

**ტყიბულისაკენ:** სახალხო № 42 4 ს. 5 წ. საღ., სახალხო № 104 7 ს. 50 წ. დილ.

**ქუთაისს მოდის:**

**თფილისიდან:** სახალ. № 32 3 ს. 24 წ. ღამით, სახალხო № 34 6 ს. 34 წ. დილ., ფოშტ. № 38 7 ს. 16 წ. საღ.

**ბათომიდან:** სახალხო № 32 3 ს. 24 წ. ღამით, სახ. № 34 6 ს. 34 წ. დილ., ფოშტ. № 36 3 ს. 11 წ. დღით.

**ფოთიდან:** სახ. № 34 6 ს. 34 წ. დილ., ფოშტ. № 36 3 ს. 11 წ. დღ., სახალ. № 26 9 ს. 55 წ. დილ.

**შორაპნიდან:** სახალ. № 27 9 ს. 26 წ. დილ.

**ტყიბულიდან:** სახალ. № 41 11 ს. 9 წ. დილ., სახალ. № 103 7 ს. 30 წ. საღამ.


სახალხო გაზეთი ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო
მიიღება ხელის-მოწერა 1912 წლისათვის.
ყოველ-დღიურ გამოცემის გარდა 1912 წელსაც გაზეთს ექნება
სურათებიანი დამატება
(კვირაობით)
პრემიად 1912 წლის ხელის მომწერთ მიეცემათ გრდემლი
ქართულ სიტყვა-კაზმულ საზოგადოების კრებულის პირველი ტომი,
რომელიც „სახალხო გაზეთის" რედაქციამ სრულ საკუთრებად შეიძინა.
კრებული „გრდემლი" დაახლოვებით 500 გვერდიანი იქნება, იბეჭდება და ხელის-მომწერთ იანვარშივე დაურიგდება.
გაზეთის ფასი წელიწადში 8 მ. და 50 კ. ცალკე № შაურად. დამატებიანი 7 კაპ.

| 12 თ. | 11 თ. | 10 თ. | 9 თ. | 8 თ. | 7 თ. | 6 თ. | 5 თ. | 4 თ. | 3 თ. | 2 თ. | 1 თ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 8.50 | 8. | 7.50 | 6.75 | 6. | 5.25 | 4.50 | 3.75 | 3. | 2.25 | 1.50 | .75 |

საზღვარ-გარედ თვეში ზედ-მეტი 25 კაპ.
ადრესის გამოსაცვლელი ფასი ტფილისისა ტფილისს გარედ, ან ტფილისის გარეთისა ისევ ტფილისის გარეთისაზე 40 კაპ.
დანარჩენ შემთხვევებში უფასოდ.
ექვსი შაური უნდა გადიხადოს კიდევ იმ ხელის მომწერმა, რომელსაც სურს კრებული „გრდემლი" მიიღოს ფოსტით. ქუთაისისა, ბათომისა, სოხუმისა, ფოთისა, გორისა და თელავის ხელის მომწერნი მიიღებენ პრემიას ადგილობრივ აგენტთაგან.
წლიურ ხელის მომწერთ გაზეთის ფასი ნაწილობით 8 მან. 50 კაპ. შეუძლიანთ გადაიხადონ მხოლოდ შემდეგ ვადებზე უნდა იყოს გადახდილი: ხელის მოწერისათანავე 3 მ.; 1 მარტამდის 2 მ.; 1 მაისამდე 2 მ. და დანარჩენი 1 მ. 50 კ. 1 ივლისამდე.
გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის 1 რიცხვიდან, მხოლოდ სრული თვეებით და არა უმეტეს 1912 წლის გასულისა.
ხელის მოწერა მიიღება:
1) „სახალხო გაზეთი"-ს კანტორაში, (სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახლი, შესავალი ეზოდან).
2) ქ. შ. წ.-კ. ს. მთავარ გამგეობის წიგნის მაღაზიაში.
3) ფოსტით: Тифлисъ, газ. „Сахалхо Газети". П. Ящ. 190.
წიგნის მაღაზიების საყურადღებოდ:
წიგნის მაღაზიებს, რომლებიც მიიღებენ ხელის მოწერას საკომისიოდ მიეცემა 5%.

მდინარე ფაზისის პირათ, თეთრ ხიდთან
გაიხსნა საზაფხულოთ მიტროფანე ლალიძის და ამხ-ის
ხელოვნური სამკურნალო და ხილეულობის წყლის
წყლიანთ სავაჭრო
სადაც ხილეულ-მადნეულ წყალს გარდა იყიდება საუკეთესო ქარხნის ლუდი, რძე, შოკოლადი, ნაყინი და სხვა. მ—1—4.


ელექტრო-საბეჭდავი ფერაძისა და კარნაუხოვის, ქუთაისში.